საქართველო GEORGIA
შ.პ.ს "გ უ დ ა ბ ე ნ ი" "GUDABENI" Ltd.

ქ. თბილისი ლიც. № 2690 ტ. 2951984
წინამძღვრიშვილის ქ. №37 LIC 558104301

N: 01119 "25" 11 " 2013 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩა, ვარკეთილის ზემო პლატოს II მ/რ-ს №10 კორპუსის მიმდებარედ განთავსებული საპროექტო ობიექტი წარმოადგენს 1 სართულიან, კარკასულ, მაღაზიებისთვის განკუთვნილ მშენებარე ობიექტს, რომელიც შ.პ.ს "ეკო-92"-ის მფლობელობაშია. აღნიშნული შ.პ.ს-ს წარმომადგენლებს კორექტირებული პროექტით სურთ დააშენონ მეორე სართული.

საპროექტო წინადადებით, დამკვეთის სურვილის რეალიზებისათვის გათვალისწინებულია, არსებული კარკასზე მეორე სართულის დაშენება, ერთიანი მოცულობის უზრუნველყოფა და საჭირო სივრცის შექმნა.

ამ მიზნით შევისწავლეთ კონსტრუქციული პროექტი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მშენებლობა. აგრეთვე ადგილზე დავათვალიერეთ მშენებლობა; გამოსაკვლევი ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები ვიზუალურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მშენებლობა ხორციელდება პროექტის სრული დაცვითა და გათვალისწინებით.

კონსტრუქციული პროექტის შესწავლისას დადგინდა, რომ თავდაპირველად დაპროექტებული ერთ სართულიანი ობიექტის მზიდი კონსტრუქციები პერსპექტივაში გათვალისწინებული იყო დაშენებისთვის და მისგან მიღებული დატვირთვების მისაღებად. ასე რომ ნორმებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტების დაცვის შემთხვევაში, კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული მეორე სართულის დაშენება სრულიად შესაძლებელია და არანაირ ტექნიკურ საფრთხეს არ შეუქმნის სარეკონსტრუქციო ობიექტს.

შ.პ.ს "გუდაბენის" დირექტორი ე. დანელიშვილი

